



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/171
08/04/2026

171-01-2-202604081610



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2026 წლის 2 აპრილის №2/2/1354 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

1. გამოვხატავ რა ჩემი კოლეგებისადმი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის წევრებისადმი პატივისცემას, ამავე დროს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, გამოვთქვამ განსხვავებულ აზრს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2026 წლის 2 აპრილის №2/2/1354 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა №1354 კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ეცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³ მუხლის სიტყვები „პროსტიტუცია“ და „იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში“.

2. საქმეზე გასაჩივრებული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³ მუხლის სიტყვების „პროსტიტუცია“ და „იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში“ კონსტიტუციურობა. №1354 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი სადავო სიტყვების არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდა, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სრულწლოვანი პირის მიერ პროსტიტუციის განხორციელებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება ინდივიდის პირადი ავტონომიის სფეროში არაპროპორციული ჩარევაა და შესაბამისად, უდღევდეს მის უფლებას, დამოუკიდებლად წარმართოს

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ №2/2/1354 გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულია, მათ შორის, ადამიანის შესაძლებლობა, შეარჩიოს პარტნიორი და დაამყაროს მასთან სექსუალური ურთიერთობა. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სადავო ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას აწესებს პროსტიტუციის განხორციელებისათვის, თავისი შინაარსით, ეხება სექსუალური ქცევის რეგულირებას და შესაბამისად, წარმოადგენს ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ უფლებაში. მიუხედავად აღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ემსახურება დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან, ლეგიტიმურ საჯარო ინტერესებს. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ ლეგიტიმურ მიზნებად მიიჩნია, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სხვა ძალადობრივი დანაშაულების პრევენციას, აგრეთვე არასრულწლოვანთა დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების პრევენციით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფას. თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით, სასამართლომ ეტაპობრივად შეაფასა სადავო რეგულირების შესაბამისობა გამოსადეგობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის კრიტერიუმებთან. გამოსადეგობის შეფასებისას სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს ლოგიკური კავშირი „სექს-მუშაკისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებასა და დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას შორის. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, პროსტიტუციის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ზღუდავს სექსუალური ინდუსტრიის გაფართოების შესაძლებლობას და, შესაბამისად, ირიბად ამცირებს ადამიანებით ვაჭრობისა და სხვა ძალადობრივი დანაშაულების რისკებს. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი რეგულაცია ხელს უშლის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელებას, აგრეთვე ხელს უწყობს არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვას. აუცილებლობის ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კანონმდებლის დისკრეციის ფარგლებზე და მიუთითა, რომ პროსტიტუციის რეგულირების მოდელებთან დაკავშირებით საერთაშორისო დონეზე არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ამდენად,

სახელმწიფოს გააჩნია ფართო პოლიტიკურ-სამართლებრივი დისკრეცია, შეარჩიოს ის მოდელი, რომელიც კონკრეტულ სოციალურ და სამართლებრივ კონტექსტში მიიჩნევა ეფექტიანად. ვიწრო გაგებით პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცული საჯარო ინტერესები, თავისი მნიშვნელობით, აღემატება იმ კერძო ინტერესს, რომელიც დაკავშირებულია სრულწლოვანი პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ სექსუალური მომსახურების გაწევასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ დაასკვნა, რომ სადავო რეგულირება ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული საშუალებაა და შესაბამისად, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას (იხ., №2/2/1354 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 3-5 პუნქტები)

4. მიმაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობამ სადავო რეგულირების კონსტიტუციურობის შეფასებისას არასწორად მიიჩნია იგი დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებად. „სექს-მუშაკთა“ საქმიანობის მიმართ სადავო ნორმით განსაზღვრული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არათუ ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნების განხორციელებას, არამედ, რიგ შემთხვევაში, იწვევს მათ საწინააღმდეგო შედეგებს. კერძოდ, გასაჩივრებული ნორმა ვერ ამცირებს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), აგრეთვე სხვა ძალადობრივი დანაშაულების რისკებს და არ აუმჯობესებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობას. პირიქით, განსახილველი რეგულაცია, პრაქტიკაში ამძაფრებს „სექს-მუშაკთა“ მოწყვლადობას, ზრდის საქმიანობის დაფარულ სივრცეებში გადანაცვლების ტენდენციას და შედეგად, ართულებს როგორც დანაშაულის გამოვლენას, ისე პრევენციული და დამცავი მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას, ასევე ზრდის დაუცველი სქესობრივი კონტაქტის ალბათობას, რითაც ხელს უწყობს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელებას, შესაბამისად, ამწვაავებს ჯანმრთელობის რისკებს როგორც „სექს-მუშაკების“, ისე მომსახურების მიმღები პირებისათვის. ამავდროულად, სადავო რეგულაცია ზღუდავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას იმაზე უფრო ფართოდ, ვიდრე ეს აუცილებელია არასრულწლოვან პირთა დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ვინაიდან იგი არ ახდენს დიფერენცირებას იმ

შემთხვევებს შორის, როდესაც პროსტიტუცია ხორციელდება არასრულწლოვანებისთვის ხილულ სივრცეებში და მიმდინარეობს ისეთ გარემოში, სადაც არასრულწლოვანთა ინტერესების დაზიანების რისკი მინიმალურია. ამდენად, მიმაჩნია, რომ სადავო რეგულაცია ეწინააღმდეგება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, რამდენადაც ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს – გამოსადეგობისა და აუცილებლობის კრიტერიუმებს.

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი განამტკიცებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, როგორც ადამიანის ავტონომიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ გარანტიას. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული უფლება იცავს პირის შესაძლებლობას, საკუთარი ცხოვრება წარმართოს მისივე შეხედულებების, ღირებულებებისა და არჩევანის შესაბამისად, ამგვარად, უზრუნველყოფს ინდივიდის თვითგამორკვევისა და პიროვნული იდენტობის თავისუფალ ფორმირებას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2). ამასთან, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ადამიანის ნებისა და ქმედების თავისუფლებას როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9).

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას, დამოუკიდებლად განაგოს საკუთარი ცხოვრება, თუნდაც საზოგადოების უმრავლესობის პერსპექტივიდან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფასდებოდეს როგორც არასათანადო, არამიზანშეწონილი ან მიუღებელი. აღნიშნული უფლება ეფუძნება ინდივიდის ავტონომიის პრინციპს და აღიარებს, რომ პიროვნული თვითგამორკვევა შეიძლება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სოციალურად პოზიტიურად შეფასებული ქცევების განხორციელების თავისუფლებას, არამედ იმგვარი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობასაც, რომლებიც თავად ქმედების განმახორციელებელი ინდივიდისთვის შეიძლება იწვევდეს უარყოფით შედეგებს (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები -

ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-35,47).

7. ამდენად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსი გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას იმ საფუძველით, რომ ინდივიდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეესაბამება საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ ან ეთიკურ წარმოდგენებს და იცავს ადამიანის პიროვნული ავტონომიის არსებით კომპონენტს – შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განსაზღვროს ცხოვრების მიმართულება და აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ არჩევანზე. ამასთან, ის გარემოება, რომ ინდივიდის მიერ განხორციელებული კონკრეტული საქმიანობა შესაძლოა არ იყოს საზოგადოების უმრავლესობისთვის მისაღები, თავისთავად, ვერ გახდება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის გამამართლებელი თვითკმარი საფუძველი, თუ პირი მის მიერ განხორციელებული ქმედებებით რეალურ ზიანს არ აყენებს მკაფიოდ იდენტიფიცირებად საჯარო ინტერესებს.

8. ვიზიარებ ჩემი კოლეგების პოზიციას, რომლის თანახმად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით, მათ შორის, დაცულია ადამიანის შესაძლებლობა, საკუთარი ნებისა და თანხმობის საფუძველზე დაამყაროს სექსუალური ურთიერთობა სხვა ინდივიდთან. მიმაჩნია, რომ ასეთი ურთიერთობის შინაარსის, ფარგლებისა და პირობების განსაზღვრა, მათ შორის, ურთიერთობის მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ განხორციელებაზე შეთანხმება, ურთიერთობის მონაწილე პირთა ავტონომიის, ინდივიდუალური არჩევანისა და პიროვნული თვითგამორკვევის განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული კონსტიტუციური გარანტიის შინაარსიდან გამომდინარე, ანაზღაურებადობის ელემენტი არ შეიძლება, განიხილებოდეს როგორც დამოუკიდებელი და თვითკმარი საფუძველი კონკრეტული ქმედების პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცული სფეროდან გამოსარიცხად. სექსუალური ურთიერთობის შეთავაზება ან განხორციელება ანაზღაურების სანაცვლოდ, თავისი არსით, არ განსხვავდება უსასყიდლო სექსუალური ქცევისგან იმდენად, რამდენადაც ორივე შემთხვევაში საქმე ეხება ინდივიდის ინტიმურ, სექსუალური ცხოვრების სფეროს მიკუთვნებულ ქმედებას. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცული სფერო მოიცავს პირის არჩევანს, დაკავდეს სექსუალური შინაარსის ქმედებით, მათ შორის, ანაზღაურების ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით.

9. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ არის აბსოლუტური

ხასიათის. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეიძლება, შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ზიანს აყენებს პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს ან სხვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევის შეფასებისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თანაზომიერების პრინციპის დაცვას, რომელიც მოითხოვს, რომ უფლების შეზღუდვა, ერთი მხრივ, უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს ამ მიზნის მიღწევისათვის გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული საშუალება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

10. №1354 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა გასაჩივრებული რეგულირების ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელეს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და სხვა ძალადობრივი დანაშაულების პრევენცია, არასრულწლოვანთა პროსტიტუციისგან დაცვა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, აგრეთვე საზოგადოებრივი ზნეობისა და მორალის დაცვა.

11. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნებით, გარდა საზოგადოებრივი ზნეობისა და მორალის დაცვის ლეგიტიმური მიზნისა, შესაძლებელია, მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით განმტკიცებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა (იხ., №2/2/1354 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 12-20 პუნქტები). ვიზიარებ ჩემი კოლეგების აღნიშნულ პოზიციას, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი ზნეობისა და მორალის დაცვა არ არის ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელმაც დამოუკიდებლად შეიძლება გაამართლოს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა.

12. მიმაჩნია, რომ დემოკრატიულ და პლურალისტურ საზოგადოებაში, რომელიც აღიარებს ღირებულებით მრავალფეროვნებას, სახელმწიფოს არ გააჩნია მანდატი, განსაზღვროს საყოველთაოდ „მისაღები“ ცხოვრების წესი და მხოლოდ ამ საფუძველით შეზღუდოს ინდივიდის თავისუფლება,

რადგანაც საზოგადოებრივი ზნეობისა და მორალის დაცვის მიზანი, თავისი ბუნებით, გულისხმობს არა მთლიანი სოციუმის, არამედ ამა თუ იმ ჯგუფის ცვალებადი შეხედულებების მიხედვით მოქმედებას და შესაბამისად, ვერ ჩაითვლება ისეთ ლეგიტიმურ ინტერესად, რომელიც თვითკმარი იქნებოდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, თითოეული ინდივიდის ავტონომიისა და ცხოვრების საკუთარი შეხედულებების შესაბამისად წარმართვის თავისუფლებას იცავს. განსახილველი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია სხვათა უფლებებისა და მნიშვნელოვანი, რეალურად იდენტიფიცირებადი საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასთან და არა – საზოგადოების რომელიმე ჯგუფის მორალურ თუ ზნეობრივ წარმოდგენებთან. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, თანხმობაზე დაფუძნებული სექსუალური აქტივობის ფარგლებში ადამიანის მიერ საკუთარი სხეულის მატერიალური სარგებლის მისაღებად გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მხოლოდ მორალისა და ზნეობის არგუმენტებზე მითითებით, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსახილველი უფლებით დაცულ სფეროში პატერნალისტური ბუნების ჩარევას, რაც შეუთავსებელია კონსტიტუციით დაცულ თავისუფალი და პლურალისტური საზოგადოების პრინციპებთან.

13. №2/2/1354 გადაწყვეტილებაში ისეთი მნიშვნელოვანი, რეალურად იდენტიფიცირებადი ლეგიტიმური მიზნების, როგორებიცაა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა, გათვალისწინების შემდგომ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობამ განაგრძო მსჯელობა და შეაფასა, რამდენად შეესაბამებოდა კანონმდებლის მიერ არჩეული უფლებამზღუდველი ღონისძიება თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს, უპირველესად, გამოსადეგობის კრიტერიუმს.

14. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის საკმარისი უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის დასადგენად. აუცილებელია, სადავო რეგულაცია რეალურად იძლეოდეს ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობას და შესაბამისად, აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპის შემადგენელ ელემენტებს. უფლებამზღუდველი რეგულირების გამოსადეგობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ლოგიკური და რაციონალური კავშირი დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმით დადგენილ

შეზღუდვას შორის, კერძოდ, რამდენად არის არჩეული რეგულაცია მიზნის მიღწევისათვის ვარგისი საშუალება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). აღნიშნულის დადგენა კი მოითხოვს არა მხოლოდ აბსტრაქტული კავშირის არსებობას, არამედ იმას, რომ სადავო ნორმა, პრაქტიკულად, ქმნიდეს ლეგიტიმური მიზნის რეალიზაციის შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ რეგულაციასა და მიზანს შორის ასეთი კავშირი არ არსებობს, უნდა ჩაითვალოს, რომ უფლებაში ჩარევა არ არის გამოსადეგი და, შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის №3/2/1277 გადაწყვეტილება საქმეზე "გიორგი ლაბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-25-38).

15. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობამ სადავო რეგულირება სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სხვა ძალადობრივი დანაშაულების პრევენციის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად მიიჩნია. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და პროსტიტუცია ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი ფენომენებია, მათ შორის არსებობს გარკვეული ურთიერთკავშირი. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ პროსტიტუციის განხორციელებისთვის „სექს-მუშაკის“ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებამ შესაძლოა, შექმნას ისეთი საკანონმდებლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს სექსუალური ინდუსტრიის გაფართოებას. აღნიშნული, თავის მხრივ, გაზრდის რისკს, რომ ადამიანებით მოვაჭრე პირები სწორედ ამგვარი სამართლებრივი ჩარჩოს მქონე სახელმწიფოებში მოახდენენ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით პირთა პროსტიტუციაში ჩართვას, მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ქვეყანაში შემოყვანის გზით. ამასთანავე, სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმებამ შესაძლოა, რთული გახადოს საკუთარი ნების შესაბამისად პროსტიტუციაში ჩართული და ტრეფიკინგისა თუ სხვა ძალადობრივი დანაშაულების მსხვერპლი პირების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რაც, თავის მხრივ, გააძნელებს დამნაშავეთა იდენტიფიცირებასა და დასჯას (იხ., №2/2/1354 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 22-27 პუნქტები).

16. ვერ გავიზიარებ ჩემი კოლეგების აღნიშნულ პოზიციას. მიმაჩნია, რომ პროსტიტუციის განხორციელებისთვის „სექს-მუშაკისადმი“

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება არ არის ისეთი რეგულაცია, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სხვა ძალადობრივი დანაშაულების პრევენციას. უმრავლესობის მიერ განვითარებული არგუმენტაცია, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაუქმება ხელს შეუწყობს სექსუალური ინდუსტრიის გაფართოებას და შედეგად, გაზრდის ტრეფიკინგისა თუ სხვა ძალადობრივი დანაშაულების რისკებს, ეფუძნება ირიბ და ზოგად დაშვებას, რომლის თანახმად „სექს-მუშაკის“ საქმიანობის დეპენალიზაცია, იმთავითვე, გამოიწვევს ინდუსტრიის გაფართოებას, თუმცა არ აჩვენებს, თუ როგორ უზრუნველყოფს კონკრეტულად „სექს-მუშაკის“ დასჯა აღნიშნული საფრთხეების შემცირებას. მიმაჩნია, რომ მსგავსი რეგულაცია არათუ ამცირებს ტრეფიკინგისა და სხვა ძალადობრივი დანაშაულების რისკებს, არამედ შესაძლოა, პირიქით, განაპირობებდეს განსახილველი საქმიანობის უფრო მეტად დაფარულ სივრცეებში გადანაცვლებას, რაც კიდევ უფრო ართულებს როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებას, ისე შესაბამისი ძალადობრივი დანაშაულების გამოვლენასა და აღკვეთას.

17. ცხადია, აბსოლუტურად ვიზიარებ ჩემი კოლეგების პოზიციას, რომ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ხასიათდება განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით, წარმოადგენს რა ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის უმძიმეს ფორმას. ამასთანავე, აზრთა სხვადასხვაობა ვერ იქნება იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული დანაშაული, თავისი ბუნებით, კომპლექსურია და ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობასთან, რის გამოც მისი პრევენცია და აღმოფხვრა საჭიროებს კოორდინირებულ, მრავალმხრივ და ეფექტიან სამართლებრივ და ინსტიტუციურ ღონისძიებებს. სახელმწიფოს, მათ შორის, კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანებით ვაჭრობისა და სხვა ძალადობრივი დანაშაულების ეფექტიანი პრევენცია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი სარგებლობს ფართო მიხედულების თავისუფლებით სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განსაზღვრისა და შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების შერჩევისას, აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი და უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის სრული დაცვით. უპირველესად, გამოყენებული რეგულაციები პრაქტიკულად უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სხვა ძალადობრივი დანაშაულების პრევენციას.

18. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), როგორც მოვლენის, ხელშემწყობად არაერთი ფაქტორი მიიჩნევა, თუმცა ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ანაზღაურების სანაცვლოდ სექსუალურ ურთიერთობაზე არსებული მოთხოვნა, რომელიც საზოგადოებაში მუდმივად არსებობს და რომლის დაკმაყოფილებას ადამიანებით მოვაჭრე პირები ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფენ. შესაბამისად, ტრეფიკინგის ეფექტიანი პრევენცია მოითხოვს არა მხოლოდ მისი გამოვლენისა და დასჯის მექანიზმების არსებობას, არამედ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე ზემოქმედებასაც, რომლებიც ქმნის და ამყარებს აღნიშნულ მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვს. ამ კონტექსტში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ სუბიექტებისა და ქმედებების რეგულირებას, რომლებიც რეალურად განსაზღვრავენ სექსუალური ექსპლუატაციის ბაზრის ფუნქციონირებას, მათ შორის, მოთხოვნის მხარეს და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების აქტივობას.

19. განსახილველ შემთხვევაში, სადავო რეგულირებით სრულწლოვანი „სექს-მუშაკისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება მიმართულია პროსტიტუციის მიწოდების მხარის იმ სეგმენტის მიმართ, რომელიც მოქმედებს საკუთარი ნების საფუძველზე და რომლის ქცევაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით არის დაცული. გასაჩივრებულმა რეგულაციამ, გარკვეულწილად, შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდის გადაწყვეტილებაზე – დაკავდეს თუ არა პროსტიტუციით, თუმცა იგი ვერ შეამცირებს პროსტიტუციის მიმართ მოთხოვნას, რომელიც განპირობებულია ობიექტური, მეტწილად მუდმივი სოციალური და ქცევითი ფაქტორებით. სადავო რეგულირების მოქმედება შეეხება მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც თავად ახორციელებენ სექსუალურ მომსახურებას და არ არის მიმართული იმ სუბიექტებისაკენ, რომლებიც მომსახურების შეძენით თუ სხვაგვარი ხელშემწყობით ქმნიან მოთხოვნას პროსტიტუციის ბაზრის სიცოცხლისუნარიანობისთვის. პროსტიტუციის შემცირება ან აღმოფხვრა, თუკი ეს, პრაქტიკულად, საერთოდ შესაძლებელია, მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, აღარ იარსებებს პროსტიტუციის ხელშემწყობი სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორები, ხოლო მეორე მხრივ, მკაცრად იქნება შეზღუდული მასთან დაკავშირებული პარალელური ქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი, როგორც ორგანიზებული და მომგებიანი საქმიანობის, ფუნქციონირებას. ასეთ ქმედებებს განეკუთვნება, მათ შორის, სექსუალური მომსახურების შეძენა, პროსტიტუციის წაქეზება, ორგანიზება, შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა და სხვა აქტივობები.

20. საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია და არც საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიისთვის ყოფილა ცნობილი ისეთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ პროსტიტუციის განხორციელებისთვის „სექს-მუშაკისადმი“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება რეალურად იწვევს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან სხვა ძალადობრივი დანაშაულების პრევენციას. უდავოა, რომ ანაზღაურების სანაცვლოდ სექსუალური ურთიერთობის შეთავაზება გარკვეულწილად უკავშირდება პროსტიტუციის არსებობას და მის თანმდევ სოციალურ რისკებს, თუმცა „სექს-მუშაკის“ წვლილი იმ საფრთხეების გენერირებაში, რომლებზეც მიუთითებდა მოპასუხე მხარე, მინიმალურია. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობის მიერ განვითარებული მსჯელობა, ძირითადად, ეფუძნება აბსტრაქტულ თეორიულ დაშვებებს, რომლებიც ვერ ადასტურებს საკმარისად მყარ კავშირს სადავო რეგულაციასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს შორის. მიმაჩნია, რომ სადავო რეგულაციას არ გააჩნია პრაქტიკული პრევენციული ეფექტი, რაც აუცილებელია მისი გამოსადეგობის დასადასტურებლად.

21. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ როგორც მოპასუხე მხარის, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის მიერ გაზიარებული არგუმენტაციიდან გამომდინარეობს, რომ „სექს-მუშაკი“, ხშირ შემთხვევაში, ტრეფიკინგის ანდა სხვაგვარი ძალადობრივი დანაშაულების პოტენციური მსხვერპლია. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ „სექს-მუშაკთა“ ჯგუფი არ არის ჰომოგენური, ის, უმეტეს შემთხვევაში, მოწყვლადი, სტიგმატიზირებული ადამიანთა ერთობაა. მართალია, ცალკეულ შემთხვევებში პროსტიტუციაში ჩართვა შეიძლება ეფუძნებოდეს ინდივიდის თავისუფალ არჩევანს, თუმცა, პრაქტიკაში, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება მეტწილად განპირობებულია ისეთი დაუძლეველი ფაქტორებით, როგორებიცაა ფინანსური სიდუხჭირე, არასათანადო განათლება, უსახლკარობა, მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ნარკოდამოკიდებულება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ან მესამე პირთა მხრიდან ზეწოლა. ამდენად, სექს-მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთ ჯგუფს მიეკუთვნება, რომლისთვისაც აღნიშნული საქმიანობა არა თავისუფალი არჩევანის, არამედ შეზღუდული სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობებისა და გარემოებების შედეგია. ამასთანავე, საზოგადოებაში განსახილველ საქმიანობასთან დაკავშირებული სტიგმის

არსებობის პირობებში, „სექს-მუშაკებისთვის“ განსაკუთრებით რთულია აღნიშნული საქმიანობის შეწყვეტა და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში სრულფასოვანი რეინტეგრაცია. ასეთ ვითარებაში, მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციული სანქციის დაწესება ხელს უწყობს „სექს-მუშაკების“ დამატებით მარგინალიზაციას და ქმნის ბარიერებს სამართლებრივი დაცვისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის თვალსაზრისით. შედეგად, სადავო რეგულირება სჯის იმ პირებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, თავადვე არიან არსებული სოციალური თუ ეკონომიკური გარემოს მსხვერპლნი, რაც ვერ თავსდება ვერც სამართლებრივი პოლიტიკის პრევენციის მიზნებთან და ვერც თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებთან.

22. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ საქმიანობის განხორციელების დროს პასუხისმგებლობის დაკისრების შიში ზრდის „სექს-მუშაკთა“ მიერ საკუთარი საქმიანობის შედარებით უფრო დაფარულ და იზოლირებულ სივრცეში გადატანის სტიმულს, რაც, ერთი მხრივ, ზრდის ტრეფიკინგისა და სხვა ძალადობრივი დანაშაულების განხორციელების საფრთხეს, რადგან ლოგიკურია ვარაუდი, რომ რაც უფრო „ჩრდილში“ ექცევა აღნიშნული საქმიანობა, მით უფრო მაღალია საფრთხე, რომ მომსახურების მიმღები ანდა მესამე პირები, მათ შორის ორგანიზებული ჯგუფები, გამოიყენებენ ამ გარემოს ექსპლუატაციისათვის და, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ართულებს როგორც „სექს-მუშაკთა“ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ისე შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების სამართალდამცავი ორგანოების მიერ დროული გამოვლენისა და პრევენციის შესაძლებლობას. სანქციის საფრთხე აგრეთვე ამცირებს „სექს-მუშაკთა“ მზადყოფნას, ითანამშრომლონ სამართალდამცავ ორგანოებთან ან მიმართონ მათ დახმარების მისაღებად, რადგან, მათი აღქმით, ასეთ შემთხვევაში ისინი თავად აღმოჩნდებიან პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის წინაშე. მართალია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გასაჩივრებული ნორმის შენიშვნა ითვალისწინებს გამონაკლისს და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს, აგრეთვე პირებს, რომლებიც პროსტიტუციაში ჩაბმულნი არიან ძალადობის, მუქარის, შანტაჟის ან მოტყუების შედეგად, თუმცა აღნიშნული გამონაკლისი ვერ ანეიტრალებს ზემოხსენებულ პრობლემებს. კერძოდ, პრაქტიკაში მსგავსი სტატუსის დადგენა საჭიროებს შესაბამის პროცედურებსა და მტკიცებულებებს, რის გამოც „სექს-მუშაკი“, რომელიც შესაძლოა რეალურად იყოს ექსპლუატაციის ან ძალადობის

მსხვერპლი, თავს შეიკავებს სამართალდამცავ ორგანოებთან დროული კომუნიკაციისგან და ნაკლებად მიმართავს მათ დახმარების მისაღებად.

23. როგორც უკვე აღინიშნა, ტრეფიკინგისა და სხვა ძალადობრივი დანაშაულების პრევენციის პროცესში, სახელმწიფოს მოქმედების ვალდებულება მიმართული უნდა იყოს აღნიშნული დანაშაულების გამომწვევი სოციო-ეკონომიკური მიზეზების აღმოფხვრისკენ და იმავდროულად, იმ პირთა დაცვისკენ, რომლებიც აღნიშნული დანაშაულების პოტენციურ მსხვერპლებს წარმოადგენენ. პრევენციული პოლიტიკის არსი სწორედ ისაა, რომ მან შეამციროს ძალადობის რისკები და გააძლიეროს მოწყვლადი ჯგუფების უსაფრთხოების, ღირსებისა და უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მექანიზმები. აღნიშნულისგან განსხვავებით, სადავო ნორმის საფუძველზე „სექს-მუშაკებისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არსებითად ახდენს პრევენციული პოლიტიკის მიზნის ინვერსიას, რამდენადაც, ერთი მხრივ, არ დასტურდება, რომ რეგულაცია ამცირებს ძალადობრივი დანაშაულების რისკებს, ხოლო, მეორე მხრივ, მიმართულია ყველაზე მოწყვლადი სუბიექტის წინააღმდეგ და შესაძლოა, ჰქონდეს კონტრპროდუქტიული ეფექტი, შეამციროს მსგავსი დანაშაულების გამოვლენის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სადავო რეგულირება ეწინააღმდეგება თანაზომიერების პრინციპის გამოსადეგობის ელემენტს.

24. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობამ სადავო ნორმა ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებადაც მიიჩნია. სასამართლოს განმარტებით, „სექს-მუშაკის“ საქმიანობა, როგორც წესი, გულისხმობს მრავალ პარტნიორთან სქესობრივი კონტაქტის დამყარებას, რაც მას მომეტებული საფრთხის წყაროდ აქცევს. პროსტიტუციით დაკავებული პირისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობის პოზიციით, ემსახურება „სექს-მუშაკის“ მიერ მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ, სხვადასხვა პარტნიორთან მრავალჯერადი სექსუალური კონტაქტის დამყარებისგან თავის შეკავებას – მაშასადამე, სხვადასხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების რისკის პრევენციას ისევე, როგორც პროსტიტუციის თანმხლები, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა ტიპის რისკების შემცირებას (იხ., №2/2/1354 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 28-30 პუნქტები).

25. ვერ გავიზიარებ ჩემი კოლეგების აღნიშნულ პოზიციას. მიმაჩნია, რომ სადავო რეგულაცია ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის გამოსადეგობის მოთხოვნებს და არ არის ეფექტიანი ინსტრუმენტი

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების პრევენციისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა რისკების შემცირებისათვის. პირიქით, არსებული ემპირიული კვლევების თანახმად, „სექს-მუშაკთა“ საქმიანობის პენალიზაცია ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ამძაფრებს ჯანმრთელობის რისკებს, ამცირებს პრევენციული ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობას და აფერხებს უსაფრთხო ქცევითი პრაქტიკების დანერგვას. შესაბამისად, სადავო ნორმა არა მხოლოდ ვერ უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, არამედ იწვევს მის საწინააღმდეგო შედეგებს, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული რეგულირების გამოსადეგ საშუალებად მიჩნევას.

26. პირველ რიგში, სადავო არ არის ის გარემოება, რომ „სექს-მუშაკები“ წარმოადგენენ სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების თვალსაზრისით მომეტებული რისკის ჯგუფს, რაც განპირობებულია საქმიანობისთვის დამახასიათებელი მთელი რიგი ფაქტორთა ერთობლიობით, მათ შორის, პარტნიორთა სიმრავლით, პრევენციულ ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობით, მესამე პირებისა და მომსახურების შემქმნთა მხრიდან ძალადობის რისკებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროსტიტუცია, თავისთავად, მაღალი საფრთხეების მატარებელი საქმიანობაა, აღნიშნული რისკები არათუ მცირდება, არამედ მნიშვნელოვნად მძაფრდება საქმიანობის პენალიზაციის პირობებში.

27. თანამედროვე ემპირიული კვლევები მიუთითებს, რომ სექს-მუშაკთა საქმიანობის მიმართ სახელმწიფოს მიერ დანერგილი სადამსჯელო პოლიტიკა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით ხშირად იწვევს კონტრპროდუქტიულ შედეგებს. კერძოდ, არსებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები აჩვენებს, რომ მსგავსი რეგულაციები არა მხოლოდ ვერ ამცირებს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების რისკს, არამედ ზრდის მას და, შესაბამისად, აუარესებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ 12 მრავალცვლადიანი დამოუკიდებელი კვლევის ერთობლივმა ანალიზმა, რომელიც მოიცავდა ჯამში 12,506 რესპონდენტს, დაადგინა კავშირი პროსტიტუციის მიმართ რეპრესიულ პოლიტიკასა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების გაზრდილ ალბათობას შორის.¹ კვლევების მიხედვით, „სექს-მუშაკების“ მიმართ სადამსჯელო პოლიტიკა იწვევს ინფიცირების რისკის დაახლოებით გაორმაგებას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი

¹ ib., Platt L, Pippa G, Rebecca M, Jocelyn E, Susan G. S, Teela S, Peninah M, and Anna-Louise C. Associations between sex work laws and sex workers' health: A systematic review and meta-analysis of quantitative and qualitative studies. PLoS medicine 15, no. 12, (2018), 9.

რეგულაციები არათუ ამცირებს, არამედ ზრდის როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებს. 27 ევროპული ქვეყნის (მათ შორის, საქართველოს) კანონმდებლობისა და ამ სახელმწიფოებში „სექს-მუშაკთა“ შორის სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც „სექს-მუშაკის“ საქმიანობა ისჯება, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის გავრცელების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება იმ სახელმწიფოების ანალოგიურ მაჩვენებლებს, სადაც სექს-მუშაობის გარკვეული ასპექტები, მათ შორის, „სექს-მუშაკთა“ საქმიანობა დეპენალიზებულია (კვლევა მხედველობაში იღებს შესადარებელი სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების განსხვავებულ დონეებს).² აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა უნდა იყოს ორიენტირებული არა „სექს-მუშაკთა“ საქმიანობის პენალიზაციაზე, არამედ პრევენციულ ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის გაზრდაზე. სამეცნიერო კვლევების თანახმად, „სექს-მუშაკთა“ საქმიანობის მიმართ რეპრესიული პოლიტიკის შემსუბუქების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორია კონკრეტული სახელმწიფოს არსებული პოლიტიკა და რეგულირების მოდელი, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების მაჩვენებელი მოსალოდნელია, რომ შემცირდეს ერთ მესამედზე მეტით, დაახლოებით 33-46%-ის ფარგლებში.³

28. ამდენად, არსებული სამეცნიერო-კვლევითი მონაცემები მიუთითებს, რომ „სექს-მუშაკთა“ მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება ვერ განიხილება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიან საშუალებად, არამედ პირიქით, შესაძლოა იწვევდეს იმგვარ შედეგებს, რომლებიც ეწინააღმდეგება დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს, ხოლო სანქციათა შემსუბუქების შემთხვევაში, მოსალოდნელია არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

29. როგორც უკვე აღინიშნა, სანქციის დაკისრების შიში „სექს-მუშაკებს“ უბიძგებს, საქმიანობა გადაიტანონ გარე სამყაროსგან, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების კონტროლისა და დაცვისგან იზოლირებულ სივრცეებში, სადაც ისინი კიდევ უფრო მარგინალიზებულ და უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. ამგვარი გარემოში საქმიანობა

² ვრცლად იხ., Reeves A, Steele S, Stuckler D, McKee M, Amato-Gauci A, Semenza JC. National sex work policy and HIV prevalence among sex workers: an ecological regression analysis of 27 European countries. The Lancet HIV, (2017).

³ იხ., Shannon K, Steffanie A. S, Shira M. G, Putu D, Peninah M, Maia R, Sushena Reza-Paul et al. Global epidemiology of HIV among female sex workers: influence of structural determinants. The Lancet 385, no. 9962 (2015), 55.

ამცირებს როგორც მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ისე ჯანმრთელობის დაცვის რისკების ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას. სამეცნიერო კვლევები მიუთითებს, რომ სწორედ ასეთ იზოლირებულ გარემოში მნიშვნელოვნად იზრდება დაუცველი სქესობრივი კონტაქტის ალბათობა.⁴ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ „სექს-მუშაკს“, შესაბამისი სახდელის დაკისრების შიშით, ეზღუდება შესაძლებლობა, წინასწარ აწარმოოს სრულფასოვანი მოლაპარაკება მომსახურების პირობებზე, შეაფასოს კლიენტი და შეთანხმდეს უსაფრთხოების ელემენტებზე, მათ შორის, კონტრაცეფციული საშუალებების გამოყენებაზე. პირობებზე მოლაპარაკებისას სანქციის შიშით გამოწვეული დროის სიმცირე, კვლევების თანახმად, მჭიდროდ არის დაკავშირებული როგორც დაუცველი სქესობრივი აქტების, ისე „სექს-მუშაკის“ მიმართ ძალადობის ზრდასთან. ამასთან, ასეთ მდგომარეობაში ურთიერთობის პირობებს, როგორც წესი, განსაზღვრავს მომსახურების შემძენი ან პროსტიტუციისგან სარგებლობის მიმღები მესამე პირი (ე.წ. სუტინიორი), რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ძალაუფლების დისბალანსსა და ზრდის სექს-მუშაკის მოწყვლადობას. შედეგად, საქმიანობის პენალიზაცია ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელებას და ზრდის ჯანმრთელობის რისკებს როგორც „სექს-მუშაკების“, ისე მომსახურების მიმღები პირებისათვის.

30. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „სექს-მუშაკთა“ მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება არა მხოლოდ ვერ ემსახურება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს, არამედ, პირიქით, ქმნის დამატებით საფრთხევებს, რაც გამორიცხავს სადავო რეგულირების განხილვას ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგ საშუალებად.

31. გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ასახავს სადავო ნორმის პრაქტიკაში გამოყენების ტენდენციას – რეალურ სურათს და რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გაკეთდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, სადავო ნორმის გამოყენება წლების განმავლობაში (2005 წლიდან 2016 წლის სექტემბრამდე პერიოდში) ხასიათდებოდა უკიდურესად დაბალი

⁴ იბ., Reeves A, Steele S, Stuckler D, McKee M, Amato-Gauci A, Semenza JC. National sex work policy and HIV prevalence among sex workers: an ecological regression analysis of 27 European countries. The Lancet HIV, (2017), 1.

ინტენსივობით. მაგალითად, 2005-2007 წლებში საერთოდ არ ფიქსირდებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევები, ხოლო შემდგომ პერიოდშიც ასეთი ფაქტები არ გამოირჩეოდა მაღალი სიხშირით; მაგალითად, 2008 წელს ფიქსირდებოდა მხოლოდ 11 შემთხვევა, 2010 და 2012 წლებში – 3-3 შემთხვევა, 2013 წელს – 21 შემთხვევა, 2014 წელს – 7, 2015 წელს – 54, ხოლო 2016 წლის შესადარებელ პერიოდში – 0 შემთხვევა. წარმოდგენილი მონაცემები მიუთითებს, რომ სადავო რეგულაციის გამოყენება არ არის სისტემური, რადგან სადავო ნორმის ასეთი შეზღუდული ინტენსივობით გამოყენება შესაბამისი ვერ იქნება ქვეყანაში პროსტიტუციის რეალური გავრცელების მასშტაბებთან. თუ დავუშვებთ, რომ გასაჩივრებული რეგულაცია წარმოადგენს ტრეფიკინგისა და სხვა ძალადობრივი დანაშაულების, აგრეთვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიან ინსტრუმენტს, ლოგიკური იქნებოდა, რომ წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებს მიეთითებინა მისი გაცილებით უფრო ინტენსიურ გამოყენებაზე, რამდენადაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში პროსტიტუციის გავრცელების შემთხვევები, ობიექტურად, გაცილებით მაღალია, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნებრივია, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამართალდამცავი ორგანოები უნდა იყენებდნენ ყველა იმ ხელმისაწვდომ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც რეალურად უწყობს ხელს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებას – ლეგიტიმური მიზნების მიღწევას. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის თვალსაზრისით, სადავო ნორმის პრაქტიკული ეფექტიანობა, მისი გამოსადეგობა თავად სადავო ნორმის აღმასრულებელი ორგანოს მიერაც დგას ეჭვქვეშ. ამასთანავე, ნორმის არასისტემური და ფრაგმენტული გამოყენება ზრდის მისი შერჩევითად გამოყენების რისკს და აჩენს ეჭვს, რომ მისი რეალიზება შეიძლება დამოკიდებული იყოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა ინდივიდუალურ შეფასებებსა და გადაწყვეტილებებზე. ასეთი ვითარება საფრთხეს უქმნის სამართლებრივი განსაზღვრულობის კონსტიტუციურ პრინციპს, ვინაიდან იდენტურ ფაქტობრივ გარემოებებში მყოფ პირებს არ ექნებათ შესაძლებლობა, წინასწარ განჭვრიტონ საკუთარი ქცევის სამართლებრივი შედეგები.

32. რაც შეეხება არასრულწლოვანთა დაცვის ლეგიტიმურ მიზანთან სადავო რეგულირების მიმართებას, მიმაჩნია, რომ იგი, ზოგადი თვალსაზრისით, შეიძლება, ჩაითვალოს ამ მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად. კერძოდ, არ არის გამორიცხული, რომ პროსტიტუციას, თავისი სპეციფიკური შინაარსიდან გამომდინარე, ჰქონდეს ნეგატიური

ზემოქმედება არასრულწლოვან პირებზე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნული ქმედება ხორციელდება მათთვის ხელმისაწვდომ გარემოში – სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, აგრეთვე საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას. არასრულწლოვანები სათანადოდ მომწიფებულნი არ არიან სექსუალური ცხოვრებისათვის, რის გამოც პროსტიტუციასთან დაკავშირებული ქცევების ხილვამ შესაძლოა მათში გამოიწვიოს სექსუალური ცხოვრების შესახებ დამახინჯებული ან არასწორი წარმოდგენების ფორმირება. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება მათი ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური განვითარების პროცესზე.

33. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა, მათი ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარება უმნიშვნელოვანესი საჯარო ინტერესია, რომლის უზრუნველსაყოფადაც სახელმწიფოს ეკისრება როგორც უფლებამოსილება, ისე ვალდებულება, შეიმუშავოს და ეფექტიანად განახორციელოს შესაბამისი პრევენციული და ქმედითი სამართლებრივი ღონისძიებები. თუმცა, აღნიშნული მიზნის მიღწევისას სახელმწიფოს მიერ არჩეული ზომები უნდა იყოს მკაცრად მიზნობრივი და ორიენტირებული უშუალოდ იმ ქმედებებისა და სუბიექტების რეგულირებაზე, რომლებიც რეალურად უქმნის საფრთხეს არასრულწლოვანთა ინტერესებს. ამასთან, ასეთი ღონისძიებები არ უნდა იწვევდეს პირთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების გადაჭარბებულ შეზღუდვას და უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა აირჩიოს ისეთი სამართლებრივი საშუალებები, რომლებიც მინიმალურად ზღუდავს ინდივიდის ავტონომიას და ამავდროულად, ეფექტიანად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური განვითარების დაცვას.

34. პროსტიტუცია, როგორც საქმიანობა, შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სივრცეში, მათ შორის, როგორც საჯარო, ისე კერძო გარემოში. აღნიშნული გარემოებების მიხედვით, მისი ხილვადობის ხარისხი განსხვავებულია და შესაბამისად, განსხვავდება მასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების ინტენსივობაც. იმ შემთხვევაში, როდესაც პროსტიტუცია ხორციელდება კერძო, პრივატულ სივრცეში, არასრულწლოვანთა მიერ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ქმედებებზე უშუალო თუ არაპირდაპირი წვდომა, როგორც წესი, მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რის გამოც მათი ინტერესის დაზიანების რისკები არსებითად მცირდება. ასეთ გარემოში, არასრულწლოვანთა ექსპოზიცია

პროსტიტუციის მიმართ არ ატარებს იმავე ინტენსივობას, რაც ხილულ, საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომ სივრცეში მიმდინარე ანალოგიური ქცევისას, სადაც არასრულწლოვანთა დაუგეგმავი შეხება აღნიშნულ აქტივობასთან უფრო რეალურ და მაღალი ალბათობის მატარებელია. შესაბამისად, კერძო თუ ისეთ საჯარო სივრცეში, სადაც არასრულწლოვანების ყოფნა ნაკლებად სავარაუდოა ანდა შეზღუდულია, პროსტიტუციის განხორციელება ვერ იწვევს იმავე ხარისხის საფრთხეს მათი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური განვითარებისათვის, რაც ისეთ საჯარო სივრცეში მისი გამოვლენის შემთხვევაში, სადაც არასრულწლოვანთა წარმომადგენლობა განსაკუთრებით მაღალია. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სხვადასხვა სივრცეში არსებული რისკები არათანაბარი ინტენსივობისაა და საჭიროებს დიფერენცირებულ სამართლებრივ მიდგომას.

35. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული რეგულაცია ითვალისწინებს „სექს-მუშაკის“ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას პროსტიტუციის განხორციელებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა გარემოში ხდება შესაბამისი ქმედება. სადავო რეგულაცია არ ითვალისწინებს იმ გარემოების მნიშვნელობას, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მიმართ რისკის ხარისხს, შესაბამისად, არ ახდენს განსხვავებას იმ სიტუაციებს შორის, სადაც ასეთი რისკი რეალურად არსებობს და სადაც იგი მინიმალურია ან პრაქტიკულად გამორიცხებულია. ამდენად, სადავო ნორმა ახდენს ერთგვაროვნად მკაცრ რეაგირებას არსებითად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებზე.

36. მიმაჩნია, რომ არასრულწლოვანთა დაცვის ლეგიტიმური მიზანი შესაძლოა მიღწეულ იქნას ნაკლებად მზღუდავი, მიზნობრივი რეგულაციებით, რომლებიც შეეხება მხოლოდ იმ გარემოსა და პირობებს, რომელშიც რეალურად არსებობს არასრულწლოვანთა ინტერესების დაზიანების რისკი. ამ მხრივ, კანონმდებელმა შეიძლება, განსაზღვროს პროსტიტუციის რეკლამირების მარეგულირებელი თუ არასრულწლოვანთა მიერ აღნიშნულ საქმიანობაზე სხვაგვარად ხელმისაწვდომობის შეზღუდვის წესები. განსახილველ შემთხვევაში, სადავო რეგულაცია არ ითვალისწინებს რისკების ინტენსივობისა და გარემოების განსხვავებას, ნაცვლად ამისა, განსაზღვრავს პროსტიტუციის სრულ და ბლანკეტურ აკრძალვას, რაც, მიმაჩნია, რომ ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას იმაზე მეტად, ვიდრე ეს აუცილებელია არასრულწლოვანთა დაცვის ლეგიტიმური მიზნის

ეფექტიანად დასაცავად, შესაბამისად, გასაჩივრებული რეგულირება ვერ აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის აუცილებლობის მოთხოვნას.

37. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ვერ გავიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის უმრავლესობის პოზიციას. მიმაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა №1354 კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ეცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172³ მუხლის სიტყვები „პროსტიტუცია“ და „იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

თეიმურაზ ტულუში

ასლი დედანთან სწორია

საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა

